1986
ეროვნული ბიბლიოთეკა

ISSN 0203—2023

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

№ 8

1986

# უმაღლესი საბჭოს უწყებები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 8 (491) ივლისი 1986 წელი

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### განყოფილება პირველი

158. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ამხ. ლ. ა. ღურწკაიას საქართველოს სსრ მინისტრად დანიშვნის შესახებ.

159. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ვ. გ. ბაქრაძის საქართველოს სსრ გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.

160. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკებისა და საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების საბიუჯეტო უფლებების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის მე-16 მუხლში ცვლილებათა შეტანის თაობაზე.

161. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება „სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად დეპუტატთა ჯგუფების, საგუშაგოებისა და მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების მუშაობისადმი საქართველოს სახალხო დეპუტატთა საბჭოების ხელმძღვანელობის პრაქტიკის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1986 წლის 25 ივლისის დადგენილების შესრულების პირველი რიგის ღონისძიებათა თაობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები და დადგენილებები

162. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების გ. დ. ლორთქიფანიძის, შ. ვ. გორგოძის, კ. კ. აბულაძის, მ. ი. წიკლაურის, დ. გ. ჩუბინიშვილის, შ. გ. შანიძის, ა. ა. ოსიპოვის, ზ. ა. ტუშურის, ო. ო. მაისურაძის, დ. ვ. მანჯგალაძის, რ. ბ. მემარნიშვილის, ა. რ. სანებლიძის და ვ. რ. ასათიანის უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

163. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება სკკპ XXVII ყრილობის მიერ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების წინაშე დასახული ამოცანების განსახორციელებლად საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობის შესახებ.

164. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლების სახელმწიფო გეგმის შესახებ.

165. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 123-ე და 126-ე მუხლებში და „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ" საქართველოს სსრ კანონში ცვლილებათა შეტანის თაობაზე.

166. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტად გარდაქმნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცებისა და „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ" საქართველოს სსრ კანონში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე.

167. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე.

168. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება ამხ. ზ. ა. ჩხეიძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.

169. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება ამხ. გ. დ. მგელაძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ — საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.

170. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება ამხ. ო. გ. ვარძელაშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.

171. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში შემავალი ცალკეული პირების თანამდებობაზე დანიშვნისა და განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

172. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.

173. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ.

174. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება ამხ. ო. ე. ჩერქეზიას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

175. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება ამხ. დ. ლ. ქართველიშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.

176. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება დეპუტატ ნ. ი. ლაღიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ არჩევის შესახებ.

177. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება დეპუტატ ნ. ვ. გურგენიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

178. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება დეპუტატ გ. გ. გუმბარიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად არჩევის შესახებ.

179. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება დეპუტატ ვ. ა. კვარაცხელიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად არჩევის შესახებ.

180. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება დეპუტატ კ. ს. მამედოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად არჩევის შესახებ.

181. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება დეპუტატ ი. თ. თოდუას საქართველოს სსრ უმღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლე- შესახებ.

182. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება დეპუტატ ჟ. კ. შარტავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

183. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება ვ. ა. ხაზარაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

## განყოფილება მეორე

184. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ვ. ე. ალექსანდროვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

185. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

186. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ს. ნ. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ფილიალის — სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

187. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ი. კ. გოგიტიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

188. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ვ. ბ. კაჭარავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

189. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ბ. ე. სადარიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

190. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ნ. გ. ბრეგვაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

191. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ა. ს. გაბინაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

192. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება კიევის ი. ფრანკოს სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური უკრაინული დრამატული თეატრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

193. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ა. მ. მოსკალენკოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

194. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ვ. ი. იაქაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

195. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ი. ნ. ჭოხონელიძისათვის „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

196. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ლ. ლ. ჩიქავასათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

197. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. მ. შ. მიქელაძისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

198. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემის თანამშრომლებისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

199. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამიერკავკასიის რკინიგზის მუშაკებისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

200. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სისტემის მუშაკთათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

## განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომები.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# განყოფილება პირველი

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 158 საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ამხ. ლ. ა. ღურწკაიას საქართველოს სსრ მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. ლუდვიგ აქსენტის ძე **ღურწკაია** საქართველოს სსრ მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 3 ივლისი.

№ 808—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 159 ამხ. ვ. გ. ბაქრაძის საქართველოს სსრ გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

განთავისუფლდეს ამხ. ვალერიან გივის ძე **ბაქრაძე** საქართველოს სსრ გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადაყვანასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 22 ივლისი.

№ 840—XI

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 160 „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკებისა და საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების საბიუჯეტო უფლებების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის მე-16 მუხლში ცვლილებათა შეტანის თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

„საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკებისა და საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების საბიუჯეტო უფლებების შესახებ“ საქართველოს სსრ 1961 წლის 27 დეკემბრის კანონის მე-16 მუხლი, საქართველოს სსრ კანონის 1985 წლის 7 დეკემბრის რედაქციით (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1962 წ., № 3, მუხ. 47; 1985 წ., № 12, მუხ. 412), ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად;

**„მუხლი 16.** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ორგანიზაციას უწევს მუშაობას საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შესადგენად.

მომდევნო წლის საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შესადგენად;

ა) საქართველოს სსრ სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები და უწყებები დასაგეგმავი წლისათვის საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის პროექტით გათვალისწინებულ დავალებათა საფუძველზე შეადგენენ საფინანსო გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვების პროექტებს და წარუდგენენ მათ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს საქართველოს სსრ რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის შესადგენად;

ბ) საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო დასაგეგმავი წლისათვის საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის პროექტის, ავტონომიური რესპუბლიკების ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების, ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების პროექტების საფუძველზე, საქართველოს სსრ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების მონაწილეობით, შეიმუშავებს ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტების, ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების ბიუჯეტების ძირითად მაჩვენებლებს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დავალებით გააცნობს მათ ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს სახალხო დეპუტატთა ავტონომიური ოლქის, რაიონული და საქალაქო (რესპუბლკიური დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს მათ მიერ შესაბამისი ბიუჯეტების პროექტების შესადგენად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო წინასწარ განიხილავს:

— საქართველოს სსრ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების საფინანსო გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვების პროექტებს მათ წარმომადგენელთა მონაწილეობით;

— ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტების, ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების ბიუჯეტების ძირითად მაჩვენებლებზე ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სახალხო დეპუტატთა ავტონომიური ოლქის, რაიონული და საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების წინადადებებსა და შენიშვნებს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

აღნიშნული პროექტების, წინადადებებისა და შენიშვნების განხილვის შემდეგ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო:

— შეადგენს საქართველოს სსრ რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტს;

— რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის და ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტების, ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების ბიუჯეტების მაჩვენებლების საფუძველზე შეადგენს საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს და წარუდგენს მას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს".

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1986 წლის 25 ივლისი.
№ 846—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

## 161 „სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად დეპუტატთა ჯგუფების, საგუშაგოებისა და მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების მუშაობისადმი საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების ხელმძღვანელობის პრაქტიკის შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1986 წლის 25 ივლისის დადგენილების შესრულების პირველი რიგის ღონისძიებათა თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. „სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად დეპუტატთა ჯგუფების, საგუშაგოებისა და მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების

ორგანოების მუშაობისადმი საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების ხელმძღვანელობის პრაქტიკის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1986 წლის 25 ივლისის დადგენილება მიღებულ იქნეს განუხრელად სახელმძღვანელოდ და საფუძვლად დაედოს ყველა საფეხურის საბჭოების, თითოეული დეპუტატისა და აქტივის საქმიანობას.

2. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის განყოფილებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებმა, სახალხო დეპუტატთა სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს, რესპუბლიკის რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასკომებმა:

ერთი თვის ვადაში შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებები დეპუტატთა ჯგუფების, საგუშაგოებისა და მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების მუშაობისადმი საბჭოების ხელმძღვანელობის შემდგომი სრულყოფისათვის; ამასთან მთავარი ყურადღება მიაპყრონ დეპუტატებისათვის, დეპუტატთა ფორმირებებისა და მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოებისათვის საბჭოების მხრივ ორგანიზაციულ-მეთოდური და პრაქტიკული დახმარების დონის ამაღლებას, მათს საქმიანობაში ფორმალიზმის აღმოფხვრას, მუშაობის ეფექტიანობის გაზრდას საბოლოო მაღალი შედეგების მისაღწევად, ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაჩქარებისათვის მშრომელთა აქტიურობის განუხრელი ზრდის უზრუნველყოფის ატმოსფეროს დამკვიდრებას, მათი კეთილდღეობის ამაღლებისათვის ზრუნვის გაძლიერებას და სოციალური სამართლიანობის პრინციპის დაცვას;

დასახონ სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუდმივ კომისიებთან, სახალხო კონტროლის ორგანოებთან, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან დეპუტატთა ჯგუფების თანამშრომლობის შემდგომი გაუმჯობესების, ხელისუფლების ორგანოების მუშაობაში მშრომელთა ჩაბმის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფისა და საზოგადოებრივ ფორმირებათა სრულფასოვანი ფუნქციონირების, მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების ხელმძღვანელთა სამართლებრივი ცოდნის დონის ამაღლების გზები და საშუალებები;

საკითხი „სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად დეპუტატთა ჯგუფების, საგუშაგოებისა და მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების მუშაობისადმი საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების ხელმძღვანელობის პრაქტიკის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების შესასრულებლად სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანების თაობაზე განიხილონ ყველა დონის სახალხო დეპუტატთა საბჭოების მორიგ სესიებზე;

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებაში მოცემული დებულებებისა და დასკვნების ყველა საფეხურის დეპუტატთათვის ღრმად განმარტების, აგრეთვე საბჭოთა მუშაკებისა და აქტივის მიერ მათი შესწავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის მიზნით ა/წლის სექტემბერში ჩაატარონ საბჭოების აღმასკომებთან არსებული სემინარ-ლექტორიუმებისა და დეპუტატთა სკოლების რიგგარეშე მეცადინეობა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკების მონაწილეობით;

ყველგან ფართოდ გაშალონ მუშაობა მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალისათვის გათვალისწინებული სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა მეორე რესპუბლიკური კრების მოსამზადებლად, რომელიც მიეძღვნება სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან, „სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის შემდგომი გაზრდისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებიდან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ზემოაღნიშნული დადგენილებიდან გამომდინარე სახალხო დეპუტატთა ყველა საფეხურის საბჭოების ამოცანებს;

ყოველნაირად შეუწყონ ხელი საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის დონის ამაღლებას, დეპუტატების, დეპუტატთა და საზოგადოებრივი ფორმირებების საქმიანობის შემდგომ გაუმჯობესებას, მშრომელთა ფართოდ ჩაბმას სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეთა მართვაში.

3. რესპუბლიკური და ადგილობრივი პრესის ორგანოებმა, საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა უზრუნველყონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1986 წლის 25 ივლისის დადგენილების სარეალიზაციოდ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მუშაობის მიმდინარეობის ფართოდ გაშუქება; მუდმივად გამოაქვეყნონ მასალები, რომლებშიც სკკპ XXVII ყრილობის და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის, სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის გაზრდისა და პასუხისმგებლობის შემდგომი გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად განზოგადებულია დეპუტატთა ჯგუფების, საგუშაგოებისა და მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოებისადმი ხელმძღვანელობისათვის საბჭოების მუშაობის დადებითი გამოცდილება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 31 ივლისი.
№ 851—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები და დადგენილებები

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

**162 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების გ. დ. ლორთქიფანიძის, შ. ვ. გორგოძის, კ. კ. აბულაძის, მ. ი. წიკლაურის, დ. გ. ჩუბინიშვილის, შ. გ. შანიძის, ა. ა. ოსიპოვის, ზ. ა. ტუშურის, ო. თ. მაისურაძის, დ. ვ. მანჯგალაძის, რ. ბ. მემარნიშვილის, ა. რ. სანებლიძის და ვ. რ. ასათიანის უფლებამოსილების ცნობის შესახებ**

მოისმინა რა სამანდატო კომისიის მოხსენება, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო საქართველოს სსრ კონსტიტუციის 105-ე მუხლის შესაბამისად ა დ გ ე ნ ს:

ცნობილ იქნეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების გრიგოლ დავითის ძე ლორთქიფანიძის, შოთა ვარლამის ძე გორგოძის, კონსტანტინე კონსტანტინეს ძე აბულაძის, მიხეილ ივანეს ძე წიკლაურის, დავით გიორგის ძე ჩუბინიშვილის, შალვა გრიგოლის ძე შანიძის, ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ოსიპოვის, ზურაბ ალექსანდრეს ძე ტუშურის, ომარ თედორეს ძე მაისურაძის, დამირ ვასილის ძე მანჯგალაძის, როდენ ბენიამინის ძე მემარნიშვილის, არმაზ რომანოზის ძე სანებლიძის და ვალერიან როსტომის ძე ასათიანის უფლებამოსილება, რომლებიც აირჩიეს ახმეტის რაიონის № 228 ახმეტის, ქალაქ თბილისის ლენინის რაიონის № 12 ანაპის 414-ე დივიზიის, საბურთალოს რაიონის № 62 დოლიძის, მცხეთის რაიონის № 110 წეროვნის, ქალაქ გორის № 116 ლენინის, ახალციხის რაიონის № 136 აწყურის, წალკის რაიონის № 158 ბედიანის, თიანეთის რაიონის № 192 თიანეთის, ლაგოდეხის რაიონის № 215 ბაისუბნის, ქალაქ ჭიათურის № 246 ზოდის, მახარაძის რაიონის № 315 ბახვის, ზუგდიდის რაიონის № 335 დარჩელისა და № 338 ნარაზენის საარჩევნო ოლქებში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 5 ივლისი.

№ 53—XI ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

## 163 სკკპ XXVII ყრილობის მიერ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების წინაშე დასახული ამოცანების განსახორციელებლად საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, რომელმაც მოისმინა და განიხილა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. პ. გ. გილაშვილის მოხსენება „სკკპ XXVII ყრილობის მიერ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების წინაშე დასახული ამოცანების განსახორციელებლად საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობის შესახებ", აღნიშნავს, რომ სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებმა საფუძველი ჩაუყარა თვისებრივად ახალ ეტაპს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების საქმიანობაში. პარტიის ყრილობის შემდეგ ყველგან გამართულ სახალხო დეპუტატთა საბჭოების სესიებზე შემუშავდა ღონისძიებანი, რომლებიც გამიზნულია სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ყველა დარგისადმი ხელმძღვანელობის შემდგომი სრულყოფისათვის, მათი საქმიანობის დემოკრატიული საფუძვლების გასაღრმავებლად, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის, კანონიერებისა და მართლწესრიგის განსამტკიცებლად.

სახალხო დეპუტატთა საბჭოების საქმიანობა უკანასკნელ ხანს გახდა უფრო კონკრეტული, გაძლიერდა ყურადღება მოქალაქეთა საჭიროებებისა და მოთხოვნილებებისადმი, გაფართოვდა საჯაროობა, განმტკიცდა მასებთან კავშირი, გაუმჯობესდა მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების მუშაობა.

მიუხედავად ამისა პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად საბჭოების საქმიანობის გარდაქმნა ჯერჯერობით ნელა ხორციელდება, ბევრ საბჭოთა და მათ აღმასრულებელ კომიტეტებში არ არის ნოვატორობის სულისკვეთება, თანამედროვე მოთხოვნებს ჩამორჩება მათი მუშაობის სტილი და მეთოდები, საბჭოების კომპეტენციაში შემავალი საკითხების გადაწყვეტისას ნაკლებად ვლინდება დამოუკიდებლობა, მთელი რიგი საბჭოები სრულად არ იყენებენ თავიანთ უფლებამოსილებას, ქმედით გავლენას ვერ ახდენენ საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მშენებლობების მუშაობაზე, მათ მიერ გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების უთუო შესრულებაზე, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, მატერიალური და შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენების საფუძველზე საზოგადოებრივი წარმოების ზრდის ტემპების მატებაზე, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გაფართოებაზე; ჯეროვნად ვერ სარგებლობენ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა შესაძლებლობებით, ადგილობრივი რეზერვებით თავიანთი რეგიონის სოციალური ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარებისათვის, ძალზე არასაკმარისად იყენებენ მინიჭებულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფლებებსა და უფლებამოსილებას შესაბამისი ტერიტორიის ურთიერთდაკავშირებული ეკონომიკური და სოციალური განვითარების უზრუნველყოფაში.

რიგ შემთხვევებში საბჭოების სესიებზე, აღმასრულებელი კომიტეტებისა და მუდმივი კომისიების სხდომებზე საკითხები იხილება ფორმალურად, მიიღება არაკონკრეტული გადაწყვეტილებები, რომლებიც გავლენას ვერ ახდენენ ადგილებზე საქმის გაუმჯობესებაზე. ცალკეულ საბჭოებსა და მათს ორგანოებს ჯერ კიდევ ვერ დაუძლევიათ ინერცია, კონსერვატიზმი და ბიუროკრატიზმი; აღმასრულებელი კომიტეტების მუშაკები ნაკლებად მიდიან ადგილებზე, ღრმად არ სწავლობენ განსახილველ საკითხებს, ყოველთვის დამაკმაყოფილებელი როდია მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისა დ მათი შესრულების კონტროლის ორგანიზაცია. სუსტად მიმდინარეობს მუშაობა მუდმივი კომისიების, დეპუტატთა ჯგუფებისა და საგუშაგოების, დეპუტატების აქტიურობის ასამაღლებლად, მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოებისადმი ხელმძღვანელობის გასაუმჯობესებლად. ხარვეზებია ამომრჩეველთა განაწესებზე მუშაობაში, რომლებიც ზოგჯერ მიიღება რეალურ შესაძლებლობათა გაუთვალისწინებლად, არ წარმოებს ჯეროვანი ორგანიზატორული მუშაობა მათი შესრულებისათვის; დეპუტატები არასაკმარისად იყენებენ შეკითხვის წესით საკითხის დაყენების უფლებას. რაიონული და საქალაქო საბჭოების მიერ ქვემდგომი საბჭოებისადმი ხელმძღვანელობის დონე ჯერ კიდევ არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს; ბევრი სადაბო და სასოფლო საბჭო სუსტ გავლენას ახდენს იმ ამოცანების გადაწყვეტაზე, რომლებიც დაკავშირებულია წარმოების ინტენსიფიკაციასთან, სოციალური სფეროს განვითარებასთან, ყველგან არ არის დამყარებული წესრიგი ვაჭრობასა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებაში.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები ნელა გარდაქმნიან მუშაობას მართვაში დემოკრატიული საწყისების განვითარების შესახებ პარტიის მითითებათა განსახორციელებლად. სუსტად ინერგება შრომითს კოლექტივებში და მოსახლეობის საცხოვრებელ ადგილას სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხების, საბჭოების გადაწყვეტილებათა პროექტების განხილვის პრაქტიკა, სათანადო ყურადღება არ ექცევა შრომითი კოლექტივების შესახებ სსრ კავშირის კანონის პრაქტიკულ რეალიზაციას, არასაკმარისად ეფექტიანად გამოიყენება უშუალო დემოკრატიის ისეთი არხები, როგორიცაა სოფლის ყრილობები, მოქალაქეთა კრებები, ამომრჩეველთა განაწესები, პრესა, რადიო, ტელევიზია, მოქალაქეთა წერილები და მიმართვები, საზოგადოებრივი აზრის გამოვლენის სხვა საშუალებანი.

მთელ რიგ ადგილებზე არადამაკმაყოფილებლად ხორციელდება კონტროლი კანონებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისადმი, სოციალური სამართლიანობის პრინციპების განხორციელებისადმი, სოციალისტური საკუთრების დაცვა-შენახვის უზრუნველყოფისადმი, მუქთახორობისა და უშრომელი შემოსავლის აღმოფხვრისადმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ჯერჯერობით არასაკმარისად ავრცელებს საბჭოებისა და მათი ორგანოების მუშაობის მოწინავე გამოცდილებას სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის ახალი ფორმების დანერგვისა და შესაბამის ტერიტორიაზე კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად მათი უფლებამოსილებისა და არსებულ შესაძლებლობათა სრულად გამოყენებისათვის.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

**ადგენს:**

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა თანამიმდევრულად და მტკიცედ განაგრძონ მუშაობა თავიანთ ტერიტორიაზე ცხოვრების ყველა სფეროსათვის ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების პასუხისმგებლობის გაზრდის, ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული განვითარების ამოცანების გადაწყვეტაში მათი დამოუკიდებლობისა და აქტიურობის გაძლიერების, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დასაჩქარებლად მასების დარაზმვაში მათი როლის ამაღლების შესახებ სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნათა განსახორციელებლად.

თანამიმდევრულად სრულყონ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოებისადმი ხელმძღვანელობის სტილი და მეთოდები, მეტი კონკრეტული დახმარება გაუწიონ მათ ადგილებზე, სისტემატურად განაზოგადონ და გაავრცელონ ადგილობრივი საბჭოების მუშაობის დადებითი გამოცდილება, ყოველნაირად შეუწყონ ხელი მათ მიერ კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების უფრო სრულად გამოყენებას, ადგილებზე საქმის ვითარებისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერებას, დეპუტატების, მუდმივი კომისიებისა და დეპუტატთა სხვა ფორმირებების, მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების საქმიანობის გააქტიურებას.

2. რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოებმა და მათმა აღმასრულებელმა კომიტეტებმა მთელი თავიანთი საქმიანობა დაუქვემდებარონ პარტიის ნოვატორული კურსის პრაქტიკული რეალიზაციის ხელშემწყობი ამოცანების გადაწყვეტას, მკაცრად მისდიონ სკკპ XXVII ყრილობის მითითებებს იმის შესახებ, რომ საბჭოებს შეუძლიათ და უნდა გახდნენ კიდეც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დასაჩქარებლად მასების დარაზმვის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი რგოლი, სრული და პასუხისმგებელი ბატონ-პატრონნი ყველაფერში, რაც ეხება მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებას. იხელმძღვანელონ რა პარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმის, სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის გადაწყვეტილებებით:

გააქტიურონ მუშაობა მიმდინარე წლის საგეგმო დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა უთუოდ შესასრულებლად, მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით რეალიზაციის საიმედო წანამძღვრების შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმნელად მშრომელთა დარაზმვისათვის; სრულყონ სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაცია და აამაღლონ მისი ქმედითობა; ყოველნაირად დაუჭირონ მხარი მასების ინიციატივასა და შემოქმედებას, რომლებიც გამიზნულია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დასაჩქარებლად, შრომის ნაყოფიერების ასამაღლებლად, საუკეთესო სახალხო-სამეურნეო შედეგების მისაღწევად;

უზრუნველყონ კომპლექსური მიდგომა ეკონომიკური და სოციალური განვითარების ამოცანების გადაწყვეტისადმი, მართვაში დარგობრივი და ტერიტორიული საწყისების სწორი შეხამება საერთო-სახელმწიფო ინტერესების უთუო დაცვით;

განახორციელონ გადაუდებელი ღონისძიებანი მატერიალური წარმოების ყველა დარგსა და მოსახლეობის მომსახურების ყველა სფეროში შრომის ორგანიზაციის პროგრესული ფორმების დასანერგავად, მტკიცედ მიაღწიონ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას, განვითარების ინტენსიურ გზაზე მისი გადაყვანის დაჩქარებას, მართვისა და მეურნეობრიობის გაძღოლის მექანიზმის სრულყოფას;

მუდმივი ყურადღება დაუთმონ პარტიის მოთხოვნათა შესრულებას ყაირათიანობისა და მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერების, მატერიალური, ენერგეტიკული, ფინანსური და შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენების, წარმოებისა და მეორადი ნედლეულის ნარჩენების უფრო სრული გამოყენების შესახებ; ფართოდ მიიზიდონ ამ მუშაობაში მუდმივი კომისიები, დეპუტატთა ჯგუფები და საგუშაგოები, სახალხო კონტროლის ორგანოები;

აამაღლონ მოსახლეობის დაინტერესება და პასუხისმგებლობა წყლის, თბო-და ელექტროენერგიის მომჭირნედ ხარჯვისათვის, გააქტიურონ ამ საქმეში მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების მუშაობა;

განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ საუწყებო დაქვემდებარების მიუხედავად ყველა სამრეწველო საწარმოს მიერ სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გადიდებას, ასორტიმენტის გაფართოებასა და ხარისხის ამაღლებას, უფრო ფართოდ გამოიყენონ ამ მიზნით ადგილობრივი შესაძლებლობანი; მუდმივად იზრუნონ საქონელსა და მომსახურებაზე მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებათა, მისი გადახდისუნარიანი მოთხოვნის უფრო სრულად დაკმაყოფილებისათვის;

სახალხო დეპუტატთა საბჭოების სესიებზე ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლების გეგმების პროექტთა განხილვისას სერიოზული ყურადღება დაუთმონ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებიდან გამომდინარე ამოცანებს, რომლებიც დაკავშირებულია გაზრდილი მოთხოვნის სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებასთან, საყოფაცხოვრებო მომსახურების გაფართოებასა და ხარისხის ამაღლებასთან, მოსახლეობის სამედიცინო, სავაჭრო, კომუნალური და სხვა სახის მომსახურების გაუმჯობესებასთან;

უფრო ეფექტიანად განახორციელონ თავიანთი უფლებამოსილება და უფლებები შესაბამისი ტერიტორიების სოციალური სფეროს შემდგომი განვითა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რების, მშრომელთა შრომის, ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების პირობების გაუმჯობესების საკითხების გადაწყვეტაში საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა საქმიანობის კოორდინაციისათვის;

მტკიცედ მიაღწიონ შრომითი კოლექტივების როლისა და აქტიურობის ამაღლებას, მათ მიერ შრომითი კოლექტივების შესახებ სსრ კავშირის კანონით დადგენილი უფლებების უფრო სრულად განხორციელებას; ყოველნაირად შეუწყონ ხელი მშრომელთა წარმოების სრულუფლებიანი ბატონპატრონობის, საზოგადოების წინაშე მოვალეობათა შესრულებისათვის მაღალი პასუხისმგებლობის სულისკვეთებით აღზრდას, ადამიანის ფაქტორის მაქსიმალურ გააქტიურებას, მშრომელთა ინიციატივისა და შემოქმედების განვითარებას, თითოეულ კოლექტივში მაღალი ორგანიზებულობისა და დისციპლინის, ყოველგვარი ანტისაზოგადოებრივი გამოვლენებისადმი, სოციალური სამართლიანობის პრინციპების დარღვევებისადმი შეურიგებლობის ვითარების შექმნას;

„უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად საბჭოების სესიებზე, შრომითი კოლექტივების კრებებსა და აგრეთვე საცხოვრებელ ადგილას მოქალაქეთა კრებებზე მოაწყონ უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ საკითხების განხილვა;

მთელი ძალ-ღონე მოახმარონ სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განუხრელი დაცვის, ლოთობისა და ალკოჰოლიზმის აღმოფხვრის უზრუნველყოფას, მოქალაქეთა სამართლებრივ აღზრდას, სამართალდარღვევათა აცდენის პროფილაქტიკურ ღონისძიებათა განხორციელებას, უფრო სრულად გამოიყენონ ამ საქმეში შრომითი კოლექტივების, ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების, ამხანაგური სასამართლოებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანოების უფლებები და შესაძლებლობები;

ყოველნაირად შეუწყონ ხელი ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმისა და უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების გარდაქმნის ამოცანათა განხორციელებას; უფრო ღრმად ჩასწვდნენ სახალხო განათლების დაწესებულებათა ყოველდღიური მუშაობის შინაარსს, მუდმივი ყურადღება დაუთმონ მათ მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას, სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელის გაფართოებას, სკოლებში გახანგრძლივებული დღის ჯგუფების გაზრდას, მოსწავლეთა სწავლებას, აღზრდას, პროფორიენტაციას, საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომისათვის მომზადებას;

მიაღწიონ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების შესახებ პარტიის მოთხოვნათა განხორციელებას;

თანამიმდევრულად სრულყონ სესიების, აღმასრულებელი კომიტეტებისა და მუდმივი კომისიების სხდომების მუშაობა, მათი მომზადებისა და ჩატარების პრაქტიკა; გააფართოონ და მუდმივად გააუმჯობესონ დეპუტატთა მიერ შეკითხვის წესით საკითხის დაყენების პრაქტიკა, უზრუნველყონ მიღებულ გადაწყვეტილებათა შედეგიანობა, გადაჭრით უკუაგდონ პარადულობა, სახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დომო ფუსფუსი, ხელი შეუწყონ სახალხო დეპუტატთა აქტიურობის, ინიციატივისა და პასუხისმგებლობის ამაღლებას;

ყოველნაირად გააფართოონ დემოკრატიული საწყისები თავიანთი საქმიანობის ყველა სფეროში, საჯაროობა მუშაობაში, განამტკიცონ მოსახლეობასთან კავშირი, უფრო ფართოდ დანერგონ პრაქტიკაში შრომითი კოლექტივებისა და მოსახლეობისათვის საბჭოებისა და აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებათა წინასწარ გაცნობა, გადაწყვეტილებათა მიღებისას გაითვალისწინონ მათი აზრი, შეუნელებელი ყურადღება დაუთმონ ამომრჩეველთა განაწესების, მშრომელთა კრიტიკული შენიშვნების, თხოვნისა და წინადადებების განხორციელებას, აღკვეთონ კრიტიკის ჩახშობის ცდები, გადაჭრით აღმოფხვრან ფორმალიზმისა და ბიუროკრატიზმის, ადამიანთა მოთხოვნილებებისა და საჭიროებებისადმი გულგრილობის გამოვლენები, განუხრელად აამაღლონ სოფლის ყრილობებისა და მოქალაქეთა კრებების როლი;

გააუმჯობესონ საკონტროლო ფუნქციების განმხორციელებელი ორგანოების მუშაობის კოორდინაცია, შემოწმების ჩატარებისას აღმოფხვრან პარალელიზმი და დუბლირება, განამტკიცონ მუდმივი კომისიების, სახალხო კონტროლის ორგანოების, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შესაბამისი სამართალდამცველი ორგანოების თანამოქმედება.

3. რესპუბლიკური და ადგილობრივი გაზეთების რედაქციებმა, საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა უფრო სრულად გააშუქონ სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობა პარტიის XXVII ყრილობის მოთხოვნებისა და სკკპ ცენტრალურიი კომიტეტის მომდევნო დადგენილებების განსახორციელებლად, რომლებიც შეეხება თანამედროვე პირობებში საბჭოების საქმიანობის სრულყოფას.

4. მოწონებულ იქნეს სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში ჩასატარებელ ძირითად ღონისძიებათა გეგმა.

*

* *

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოები და მათი ორგანოები პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით უმოკლეს დროში უზრუნველყოფენ მთელი მუშაობის გარდაქმნას პარტიის ახალ მოთხოვნათა სულისკვეთებით და თავიანთ მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ სკკპ XXVII ყრილობის საპროგრამო მითითებებისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებების განხორციელებაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 5 ივლისი

№ 54—XIს.

## საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი

## 164 საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლების სახელმწიფო გეგმის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

**მუხლი 1.** დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლების სახელმწიფო გეგმა, რომელიც განაწილებულია ხუთწლედის წლების, საქართველოს სსრ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებების და ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მიხედვით და შემუშავებულია სკკპ XXVII ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებების და სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა შესაბამისად.

**მუხლი 2.** დადგინდეს საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლების სახელმწიფო გეგმის შემდეგი ძირითადი მაჩვენებლები:

| | პროცენტობით 1985 წელთან შედარებით | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | 1986 წ. | 1987 წ. | 1988 წ. | 1989 წ. | 1990 წ. |
| რესპუბლიკის ტერიტორიაზე წარმოებული ეროვნული შემოსავალი | 102,9 | 107,4 | 113,2 | 119,7 | 128,0 |
| მრეწველობის პროდუქცია ს უ ლ | 104,2 | 107,4 | 112,9 | 118,7 | 125,0 |
| მათ შორის: | | | | | |
| წარმოების საშუალებათა წარმოება | 103,8 | 106,6 | 112,0 | 117,6 | 123,2 |
| მოხმარების საგნების წარმოება | 104,8 | 108,6 | 114,3 | 120,4 | 127,9 |
| სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებანი რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობის და საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის მიხედვით | 105,2 | 105,3 | 106,7 | 111,1 | 117,1 |
| შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში | 103,5 | 106,1 | 110,6 | 115,2 | 120,0 |
| მშენებლობაში | 103,0 | 106,5 | 110,5 | 115,5 | 121,0 |
| მოგება რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებისა და ორგანიზაციების სამრეწველო საქმიანობიდან | 112,1 | 122,8 | 136,2 | 150,1 | 167,6 |
| რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე | 103,6 | 107,5 | 111,3 | 115,6 | 120,0 |
| სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა (ალკოჰოლური სასმელების რეალიზაციის მოცულობის გარეშე) | 110,5 | 114,1 | 119,3 | | 127,7 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

1986-1990 წლებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების საშუალო წლიური მოცულობა წინა ხუთწლედთან შედარებით გაიზარდოს 14 პროცენტით. ხუთწლეულის მანძილზე სოფლის მეურნეობის საზოგადოებრივ სექტორში 28 პროცენტით გადიდდეს შრომის ნაყოფიერების საშუალო წლიური დონე.

**მუხლი 3.** სკკპ XXVII ყრილობის მიერ მიღებული სოციალური განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობის ამაღლების პროგრამის შესრულების მიზნით მეთორმეტე ხუთწლედში მთლიანად ქვეყანაში დასახული ღონისძიებების შესაბამისად:

წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის საფუძველზე მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი გაიზარდოს 13,4 პროცენტით და კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება საზოგადოებრივ მეურნეობაში — 11,1 პროცენტით;

მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები გადიდდეს 25,3 პროცენტით, გაძლიერდეს მათი როლი საწარმოო და სოციალურ-დემოგრაფიული პრობლემების გადაჭრაში;

მოსახლეობისათვის ფასიანი მომსახურების გაწევის მოცულობა გადიდდეს 1,5-ჯერ;

დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე საექსპლუატაციოდ გადაეცეს 10,3 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები. გაუმჯობესდეს საბინაო მშენებლობის ხარისხი, საბჭოთა ადამიანების საბინაო პირობები.

სკკპ XXVII ყრილობის მიერ დამტკიცებული სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა შესაბამისად მეთორმეტე ხუთწლედში განხორციელდეს ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების ღონისძიებანი, მათ შორის:

სახალხო მეურნეობის საწარმოო დარგებში ეტაპობრივად, საჭირო პირობების შექმნისა და რესურსების გამოძებნის კვალობაზე, უმთავრესად თვით გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების სახსრების ხარჯზე გაიზარდოს მუშა-მოსამსახურეთა სატარიფო განაკვეთები და თანამდებობრივი სარგოები;

დამთავრდეს მასწავლებლებისა და სახალხო განათლების სხვა მუშაკთა ხელფასის მომატების ღონისძიებათა განხორციელება, რომელიც დაიწყო მეთერთმეტე ხუთწლედში;

დაიწყოს ჯანმრთელობის დაცვის, კულტურისა და უმაღლესი სკოლის მუშაკთა ხელფასის ეტაპობრივი გადიდება;

გაძლიერდეს სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიური და საპროექტო ორგანიზაციების მუშაკთა ხელფასის კავშირი ახალი ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიის შემუშავებისა და დანერგვისაგან მიღებულ ეფექტთან;

მეხ. ეროვნული ბიბლიოთეკა

გაძლიერდეს მეორე და მესამე ცვლებში, უწინარეს ყოვლისა მანქანათმშენებლობაში მომუშავე მუშა-მოსამსახურეთა მატერიალური წახალისება, გაფართოვდეს ამ მუშაკებისათვის შეღავათები და უპირატესობანი საწარმოთა და ორგანიზაციათა სახსრების ხარჯზე;

გაუქმდეს თვეში 80 მანეთამდე ხელფასის გადასახადები, შემცირდეს თვეში 80-დან 100 მანეთამდე ხელფასის გადასახადები;

დადგენილ ვადებში დედებს გაუდიდდეთ წლინახევრის ასაკის მიღწევამდე ბავშვის მოსავლელად ნაწილობრივ ფასიანი შვებულების ხანგრძლივობა, ამავე დროს მიეცეთ დამატებით უხელფასო შვებულების უფლება, სანამ ბავშვი ორი წლის ასაკს მიაღწევდეს;

გაუდიდდეთ მომუშავე ქალებს 56-დან 70 კალენდარულ დღემდე მშობიარობამდე შვებულების და 14 დღემდე ავადმყოფი ბავშვის მოვლისათვის ანაზღაურებული შვებულების ხანგრძლივობა;

გაიზარდოს 8-დან 12 წლამდე იმ ბავშვთა ასაკი, რომლებისთვისაც დახმარება ეძლევათ ხელმოკლე ოჯახებს;

გადიდდეს კვების ხარჯვის ნორმები სკოლამდელ დაწესებულებებში, უზრუნველყოფილ იქნენ უფასო სამკურნალწამლო საშუალებებით 3 წლამდე ასაკის ბავშვები;

გაუუქმდეთ ახალდაქორწინებულებს მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადის გადახდევინება ქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან პირველი წლის განმავლობაში;

გაუდიდდეთ ასაკისა და ინვალიდობის პენსიათა მინიმალური ოდენობა მუშა-მოსამსახურეებს და პენსიები მარჩენალის დაკარგვის გამო, აგრეთვე კოლმეურნეებს წინათ დანიშნული პენსიები;

სოფლად მუდმივად მცხოვრები და სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული პენსიონერებისათვის შემოღებულ იქნეს დადგენილი ნორმების 100 პროცენტის ოდენობით პენსიების გადახდა; განხორციელდეს ბავშვობიდან ინვალიდებისათვის პენსიების ოდენობის გადიდებისა და მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესების ღონისძიებანი;

გაიზარდოს ჰოსპიტლებში დიდი სამამულო ომის ინვალიდთა, სამშობიარო სახლებში, ცენტრალურ, საქალაქო და რაიონულ საავადმყოფოებში კვებითა და მედიკამენტებით, აგრეთვე ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებებში მედიკამენტებით უზრუნველყოფის ნორმები;

გაიზარდოს მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლ-ინტერნატებში კვების, მედიკამენტებისა და სხვა საჭიროებებისათვის ხარჯების ნორმები;

გაგრძელდეს სახელმწიფო შინაგანი სესხების დაფარვა.

გაიზარდოს შრომის ანაზღაურების სისტემის ეფექტიანობა, უფრო მჭიდროდ დაუკავშირდეს მუშაკთა გასამრჯელოს ოდენობა მათ შრომითს წვლილს, გადაჭრით აღმოიფხვრას გათანაბრების ელემენტები, გაძლიერდეს მატერიალური და მორალური პასუხისმგებლობა მუშაობაში ნაკლოვანებებისა და ხარვეზებისათვის, გაუმჯობესდეს ხელფასის ოდენობის თანაფარდობა სა-

№ 8
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხალხო მეურნეობის დარგების მიხედვით, აგრეთვე მშრომელთა სხვადასხვა კატეგორიის მიხედვით შესრულებულ სამუშაოთა სირთულისა და პირობების გათვალისწინებით გაიზარდოს საინჟინრო შრომის პრესტიჟულობა. ამაღლდეს ისტატთა, ტექნოლოგთა და კონსტრუქტორთა როლი და ავტორიტეტი, გაძლიერდეს მათი შრომის მატერიალური და მორალური სტიმულები და მუშაობისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულება.

თანამიმდევრულად განხორციელდეს საცალო ფასების პოლიტიკა მოსახლეობის რეალური შემოსავლის გადიდების ამოცანათა შესაბამისად, უზრუნველყოფილ იქნეს სხვადასხვა ჯგუფის საქონლის ფასების ეკონომიკურად და სოციალურად დასაბუთებული თანაფარდობა. განხორციელდეს ცალკეული საქონლის ფასების დაკლება მისი წარმოების ეფექტიანობის გადიდებისა და თვითღირებულების შემცირების, საჭირო სასაქონლო და საფინანსო რესურსების დაგროვების კვალობაზე.

უზრუნველყოფილ იქნეს სახალხო განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება და განმტკიცება და მოსახლეობის სოციალურ-კულტურული მომსახურების გაუმჯობესება.

**მუხლი 4.** დაუმტკიცდეთ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლების სახელმწიფო გეგმის შემდეგი ძირითადი მაჩვენებლები ავტონომიურ რესპუბლიკებს, ოლქს, ქალაქებს თბილისს, ქუთაისს, რუსთავსა და ფოთს.

| | მრეწველობის პროდუქცია 1990 წელს 1985 წელთან შედარებით: მთელი მრეწველობა | მრეწველობის პროდუქცია 1990 წელს 1985 წელთან შედარებით: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებული მრეწველობა | სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებანი დაქვემდებარებულ მეურნეობაში 1986-1990 წწ. პროცენტობით 1981-1985 წწ. | სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა ალკოჰოლური სასმელების რეალიზაციის გარეშე 1990 წელი პროცენტობით 1985 წელთან (1985 წ. შესადარ ფასებში) |
|---|---|---|---|---|
| აფხაზეთის ასსრ | 118,6 | 111,3 | 105,4 | 129,3 |
| აჭარის ასსრ | 118,3 | 120,1 | 123,4 | 135,1 |
| სამხრეთ ოსეთის ა/ო | 136,8 | 123,8 | 142,0 | 128,4 |
| ქ. თბილისი | 127,0 | 116,7 | 137,7 | 131,7 |
| ქ. ქუთაისი | 126,0 | 114,2 | 124,4 | 128,4 |
| ქ. რუსთავი | 128,1 | 131,2 | — | 136,8 |
| ქ. ფოთი | 130,0 | 134,7 | 182,7 | 119,8 |

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლეს საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს დაამტკიცონ შესაბამის სესიებზე ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქის, ქალაქებისა და რაიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლების ხუთწლიანი გეგმები, შეიტანონ მათში ტერიტორიაზე განლაგებული მთელი მეურნეობის განვითარების უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლები.

**მუხლი 5.** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, საქართველოს სსრ სამინისტროებმა, სახელმწიფო კომიტეტებმა და უწყებებმა:

ა) იხელმძღვანელონ სკკპ XXVII ყრილობის მიერ დამტკიცებული სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებებით, ამ კანონით და უზრუნველყონ, რომ თითოეულმა გაერთიანებამ, საწარმომ, ორგანიზაციამ შეადგინოს ხუთწლიანი გეგმები ხუთწლედის წლების მიხედვით;

ბ) განახორციელონ ეკონომიკის განვითარების, წარმოების ეფექტიანობის გადიდებისა და სოციალურ ამოცანათა რეალიზაციის დადგენილ დავალებათა შესრულების ღონისძიებანი.

უზრუნველყონ ხუთწლიანი გეგმის განხორციელების დროს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების ფართოდ დანერგვის, საწარმოო პოტენციალის ინტენსიური გამოყენების, ეკონომიის რეჟიმის გაძლიერების, სათბობის, ენერგიის, ნედლეულის, მასალების რაციონალური ხარჯვის, სამეურნეო ბრუნვაში მეორეული რესურსების მოქცევის, წარმოებისა და მართვის ორგანიზაციის სრულყოფის, შრომის ნაყოფიერების ზრდის საფუძველზე;

გ) დააწესონ მკაცრი კონტროლი საქვეუწყებო გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ ხუთწლიანი გეგმების დავალებათა შესრულების მიმდინარეობისადმი, ხუთწლედის პირველი წლიდანვე უზრუნველყონ მუშაობის ზუსტი, დაძაბული რიტმი, განამტკიცონ სახელმწიფო, საგეგმო და შრომის დისციპლინა სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში, ფართოდ გაშალონ ყველა ფორმის სოციალისტური შეჯიბრება.

**მუხლი 6.** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, საქართველოს სსრ სამინისტროებმა, სახელმწიფო კომიტეტებმა და უწყებებმა განახორციელონ პრაქტიკული ღონისძიებანი სკკპ XXVII ყრილობის მიერ დასახული სამეურნეო მართვის სისტემის გარდაქმნის ამოცანათა გადაწყვეტის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაზე მეურნეობრიობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერების, საზოგადოებრივი წარმოების თითოეული რგოლის მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების, შრომითი კოლექტივების ინიციატივისა და სოციალისტური გერგილიანობის განვითარების ამოცანათა გადაწყვეტის მიზნით. უზრუნველყონ გაერთიანებათა და საწარმოთა სამეურნეო დამოუკიდებლობის გაფართოება მართვის ეკონომიკურ მეთოდებზე მტკიცედ გადასვლის, სამეურნეო ანგარიშის გაღრმავების, თვითდაფინანსების პრინციპების უფრო ფართოდ გამოყენების საფუძველზე. თანამიმდევრულად სრულყონ მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა, მიაღწიონ სამეურნეო მართვის აპარატის გამარტივებასა და გაიაფებას, ამავე დროს გაადიდონ მისი საქმიანობის ეფექტიანობა.

**მუხლი 7.** დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილოს საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების დასკვნაში, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომებზე დეპუტატთა მიერ გამოთქმული წინადადებები და შენიშვნები და მიიღოს მათ გამო შესაბამისი გადაწყვეტილებები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 5 ივლისი.
№ 55—XI ს.

## საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი

### 165 საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 123-ე და 126-ე მუხლებში და „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ" საქართველოს სსრ კანონში ცვლილებათა შეტანის თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. შემოღებულ იქნეს დამატებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობა.

2. საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 123-ე მუხლის პირველ ნაწილსა და 126-ე მუხლში სიტყვები „პირველი მოადგილე" და „პირველი მოადგილისა" შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით: „პირველი მოადგილეები" და „პირველი მოადგილეებისა".

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ“ საქართველოს სსრ 1978 წლის 21 დეკემბრის კანონში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1978 წ., № 12, მუხ. 253):

მე-4 მუხლის პირველ ნაწილსა და მე-17 მუხლში სიტყვები „პირველი მოადგილე“ შეიცვალოს სიტყვებით „პირველი მოადგილეები“;

31-ე მუხლის მესამე ნაწილში სიტყვები „პირველი მოადგილე“ შეიცვალოს სიტყვებით „პირველი მოადგილეები“, ხოლო ამავე მუხლის მეოთხე ნაწილში სიტყვები „პირველი მოადგილე“ — სიტყვებით „ერთ-ერთი პირველი მოადგილე“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 5 ივლისი.
№ 56—XI ს.

## საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი

**166** **საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტად გარდაქმნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცებისა და „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ“ საქართველოს სსრ კანონში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1986 წლის 18 აპრილის ბრძანებულება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტად გარდაქმნის შესახებ“.

ამასთან დაკავშირებით შეტანილ იქნეს „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ“ საქართველოს სსრ 1978 წლის 21 დეკემბრის კანონში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1978 წ., № 12, მუხ. 253) შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

27-ე მუხლს სიტყვების „საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი“ შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის აბზაცი: „საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტი“;

29-ე მუხლის მეორე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი“.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1986 წლის 5 ივლისი.
№ 57—XI ს.

## საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი

### 167 საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

1985 წლის 11 დეკემბრისა „საქართველოს სსრ აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის ორგანოების სისტემაში ცვლილებების შესახებ“;

1986 წლის 27 იანვრისა „საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის საკითხთა რესპუბლიკური საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს გაუქმების შესახებ“;

1986 წლის 28 აპრილისა „საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების შესახებ საქართველოს სსრ კანონებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე“;

1986 წლის 28 აპრილისა „საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“;

1986 წლის 11 ივნისისა „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლის შევსების შესახებ“;

1986 წლის 11 ივნისისა „საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“;

1986 წლის 24 ივნისისა „საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“;

ეროვნული ბიბლიოთეკა

1986 წლის 24 ივნისისა „საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის 26-ე მუხლში დამატების შეტანის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 5 ივლისი.
№ 58—XI ს.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

### 168 ამხ. ზ. ა. ჩხეიძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1986 წლის 8 მაისის ბრძანებულება ამხ. ზურაბ ამბროსის ძე **ჩხეიძის** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ დანიშვნისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის — საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 5 ივლისი.
№ 59—XI ს.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

### 169 ამხ. გ. დ. მგელაძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ — საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1986 წლის 14 ივნისის ბრძანებულება ამხ. გურამ დავითის ძე **მგელაძის** საქართვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ — საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნისა და საქართველოს სსრ მინისტრის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 5 ივლისი.
№ 60—XI ს.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

**170** **ამხ. ო. გ. ვარძელაშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ — საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1986 წლის 8 მაისის ბრძანებულება ამხ. ომარ გიორგის ძე **ვარძელაშვილის** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ — საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის — საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 5 ივლისი.
№ 61—XI ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

### 171 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში შემავალი ცალკეული პირების თანამდებობაზე დანიშვნისა და განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

1985 წლის 11 დეკემბრისა ამხ. ომარ გიორგის ძე ვარძელაშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ — საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ;

1985 წლის 12 დეკემბრისა საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ამხ. გურამ დავითის ძე მგელაძის საქართველოს სსრ მინისტრად დანიშვნის შესახებ;

1985 წლის 12 დეკემბრისა საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ამხ. რესან ჰასანის ძე კონცელიძის საქართველოს სსრ მინისტრად დანიშვნის შესახებ;

1985 წლის 19 დეკემბრისა ამხ. ლონგინოზ ლევანის ძე ზაქაიძის საქართველოს სსრ პურპროდუქტების მინისტრად დანიშვნის შესახებ;

1985 წლის 24 დეკემბრისა ამხ. ალექსანდრე ივანეს ძე მოვსესიანის საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრად დანიშვნის შესახებ;

1986 წლის 6 იანვრისა ამხ. ნუგზარ დომენტის ძე რუხაძის საქართველოს სსრ მინისტრის — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის აგროსამრეწველო კომპლექსის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოადგილის, საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის საკითხთა რესპუბლიკური საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ სხვა სამუშაოზე გადაყვანასთან დაკავშირებით;

1986 წლის 9 იანვრისა ამხ. ოთარ დანიელის ძე ქინქლაძის საქართველოს სსრ განათლების მინისტრის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ სამეცნიერო-პედაგოგიურ სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით;

1986 წლის 15 იანვრისა ამხ. ნათელა შალვას ასულ ვასაძის საქართველოს სსრ განათლების მინისტრად დანიშვნის შესახებ;

1986 წლის 22 იანვრისა ამხ. გურამ ივანეს ძე გვეტაძის საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

1986 წლის 22 იანვრისა ამხ. შოთა ვარლამის ძე გორგოძის საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშვნის შესახებ;

1986 წლის 3 თებერვლისა ამხ. ნუგზარ აკაკის ძე ფოფხაძის საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით;

1986 წლის 5 თებერვლისა ამხ. არმაზ რომანოზის ძე სანებლიძის საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ;

1986 წლის 14 თებერვლისა ამხ. იოსებ ალექსის ძე ხარატიშვილის საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით;

1986 წლის 15 თებერვლისა ამხ. დამირ ვასილის ძე მანჯგალაძის საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრად დანიშვნის შესახებ;

1986 წლის 4 აპრილისა ამხ. ზურაბ გიორგის ძე ახვლედიანის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობიდან გამოყვანის შესახებ მისი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველის მოვალეობისაგან განთავისუფლებასა და პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით;

1986 წლის 4 აპრილისა ამხ. სერგო ტარასის ძე რიგვავას საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკურიგანათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით;

1986 წლის 4 აპრილისა ამხ. ნელი ვლადიმერის ასულ გურგენიძის საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ;

1986 წლის 14 აპრილისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველის ამხ. სერგო ტარასის ძე რიგვავას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში შეყვანის შესახებ;

1986 წლის 18 აპრილისა ამხ. ნუგზარ შალვას ძე ენდელაძის საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ;

1986 წლის 3 ივლისისა საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ამხ. ლუდვიგ ავქსენტის ძე ლურწკაიას საქართველოს სსრ მინისტრად დანიშვნის შესახებ.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1986 წლის 5 ივლისი.

№ 62—XI ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

### 172 საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1986 წლის 24 მარტის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ".

გამოყვანილ იქნეს ამხ. მურატ გრიგოლის ძე **ხანაკოევი** საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის შემადგენლობიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 5 ივლისი.
№ 63—XI ს.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

### 173 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

**განთავისუფლდნენ დეპუტატები:**

**გუმბარიძე** გივი გრიგოლის ძე — საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან;

**ზაქაიძე** ლონგინოზ ლევანის ძე — აგროსამრეწველო კომპლექსის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან;

**ვახაძე** ნათელა შალვას ასული — სახალხო განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან;

**ლაღიძე** ნათელა ილიას ასული — ახალგაზრდობის საქმეთა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან;

**მამედოვი** კამილ სულეიმან ოღლი — საგარეო საქმეთა კომისიის წევრის მოვალეობისაგან;

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ენდელაძე** ნუგზარ შალვას ძე — ახალგაზრდობის საქმეთა კომისიის წევრის მოვალეობისაგან;

**ლურწკაია** ლუდვიგ ავქსენტის ძე — აგროსამრეწველო კომპლექსის კომისიის წევრის მოვალეობისაგან;

**ხუციშვილი** ილია ივანეს ძე — ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კომისიის წევრის მოვალეობისაგან;

**ლოლაძე** თეიმურაზ ნიკოლოზის ძე — მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიის წევრის მოვალეობისაგან;

**კვარაცხელია** ვახტანგ ავქსენტის ძე — შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენების კომისიის წევრის მოვალეობისაგან.

**არჩეულ იქნენ დეპუტატები:**

**ფოფხაძე** ნუგზარ აკაკის ძე — საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის თავმჯდომარედ;

**მემარნიშვილი** როდენ ბენიამინის ძე — აგროსამრეწველო კომპლექსის კომისიის თავმჯდომარედ;

**ლოლაძე** თეიმურაზ ნიკოლოზის ძე — სახალხო განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარედ;

**ხუციშვილი** ილია ივანეს ძე — ახალგაზრდობის საქმეთა კომისიის თავმჯდომარედ;

**აბულაძე** კონსტანტინე კონსტანტინეს ძე — სამანდატო კომისიის წევრად;

**გვეტაძე** გურამ ივანეს ძე — საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის წევრად;

**ახვლედიანი** ზურაბ გიორგის ძე — საგარეო საქმეთა კომისიის წევრად;

**მაისურაძე** ომარ თედორეს ძე — საგარეო საქმეთა კომისიის წევრად;

**ჯაბადარი** თენგიზ კონსტანტინეს ძე — ენერგეტიკის კომისიის წევრად;

**წიკლაური** მიხეილ ივანეს ძე — აგროსამრეწველო კომპლექსის კომისიის წევრად;

**ხარატიშვილი** იოსებ ალექსის ძე — აგროსამრეწველო კომპლექსის კომისიის წევრად;

**შარტავა** ჟიული კალისტრატეს ძე — მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიის წევრად;

**ჩუბინიშვილი** დავით გიორგის ძე — სახალხო მოხმარების საქონლისა და მოსახლეობის მომსახურების კომისიის წევრად;

**ტუშური** ზურაბ ალექსანდრეს ძე — ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კომისიის წევრად;

**ლორთქიფანიძე** გრიგოლ დავითის ძე — ახალგაზრდობის საქმეთა კომისიის წევრად;

**შანიძე** შალვა გიორგის ძე — ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების კომისიის წევრად;

ეროვნული

**თოდუა** ილია თეიმურაზის ძე — შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენების კომისიის წევრად;

**ოხიმოვი** ალექსანდრე ალექსანდრეს ძე — შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენების კომისიის წევრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 5 ივლისი.

№ 64—XI ს.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

## 174 ამხ. ო. ე. ჩერქეზიას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. ოთარ ევტიხის ძე **ჩერქეზია** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ და დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1986 წლის 12 აპრილის ბრძანებულება ამ საკითხზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 5 ივლისი.

№ 65—XI ს.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

## 175 ამხ. დ. ლ. ქართველიშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1986 წლის 11 აპრილის ბრძანებულება ამხ. დიმიტრი ლევანის ძე **ქართველიშვილის**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 5 ივლისი.
№ 66—XI ს.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

## 176 დეპუტატ ნ. ი. ლალიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნეს დეპუტატი ნათელა ილიას ასული ლალიძე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 5 ივლისი.
№ 68—XI ს.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

## 177 დეპუტატ ნ. ვ. გურგენიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

განთავისუფლდეს დეპუტატი ნელი ვლადიმერის ასული **გურგენიძე** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 5 ივლისი.
№ 67—XI ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

### 178 დეპუტატ გ. გ. გუმბარიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

არჩეულ იქნეს დეპუტატი გივი გრიგოლის ძე გუმბარიძე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 5 ივლისი.
№ 69—XI ს.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

### 179 დეპუტატ ვ. ა. კვარაცხელიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

არჩეულ იქნეს დეპუტატი ვახტანგ აქსენტის ძე კვარაცხელია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 5 ივლისი.
№ 70—XI ს.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

### 180 დეპუტატ კ. ს. მამედოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

არჩეულ იქნეს დეპუტატი კამილ სულეიმან ოღლი მამედოვი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 5 ივლისი.
№ 71—XI ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

**181** **დეპუტატ ი. თ. თოდუას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

განთავისუფლდეს დეპუტატი ივლიანე თეიმურაზის ძე **თოდუა** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1986 წლის 5 ივლისი.
№ 72—XI ს.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

**182** **დეპუტატ ჟ. კ. შარტავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

განთავისუფლდეს დეპუტატი ჟიული კალისტრატეს ძე **შარტავა** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1986 წლის 5 ივლისი.
№ 73—XI ს.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

**183** **ვ. ა. ხაზარაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

განთავისუფლდეს ვიტალი ალექსანდრეს ძე **ხაზარაძე** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან მისი ქუთაისის სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლებასა და დეპუტატის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 5 ივლისი.
№ 74—XI ს.

## განყოფილება მეორე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 184 ამხ. ვ. ე. ალექსანდროვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში, სახალხო განათლების დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილების გამგე ამხ. ვიქტორ ევგენის ძე **ალექსანდროვი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი 1986 წლის 3 ივლისი
№ 809—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 185 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მხარის მატერიალური კულტურის ძეგლთა შეგროვების, დაცვისა და პროპაგანდისათვის გაწეული აქტიური ნაყოფიერი საქმიანობისათვის და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ს. ნ. ჯანაშიას სა-

№ 8 ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელობის სახელმწიფო მუზეუმის ფილიალის—სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დაარსების 50 წლისთავთან დაკავშირებით **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ:

**ბედუკიძე** ლამარა ალექსის ასული — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ს. ნ. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

**გოიშვილი** ბერდო ალექსის ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საქართველოს მაღალმთიანი რაიონების კომპლექსური შესწავლის კომისიის სწავლული მდივანი.

**კვიციანი** აკაკი ესტატეს ძე — მესტიის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგე.

**ნიჟარაძე** დავით გიორგის ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ს. ნ. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ფილიალის — სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდის მთავარი მცველი.

**სილოგავა** ვალერი ივლიანეს ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. ს. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

**ყენია** რუსუდან ივანეს ასული — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გ. ნ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

**შუკვანი** შადური ადილარის ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ს. ნ. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ფილიალის — სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის განყოფილების გამგე.

**ჩართოლანი** ციალა იოსების ასული — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ს. ნ. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ფილიალის — სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორი.

**ჩართოლანი** მიხეილ ისმაილის ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ს. ნ. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის განყოფილების ხელმძღვანელი.

**ჭილაშვილი** ლევან ალექსანდრეს ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ს. ნ. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1986 წლის 9 ივლისი

№ 822—XI

პარლამენტის ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 186 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ს. ნ. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ფილიალის — სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სვანეთის მატერიალური და სულიერი კულტურის განვითარებაში წვლილისათვის, ისტორიულ ძეგლთა მეცნიერული შესწავლა-პოპულარიზაციისათვის და დაარსების 50 წლისთავთან დაკავშირებით **საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ს. ნ. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ფილიალი — სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 9 ივლისი
№ 823—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 187 ამხ. ი. კ. გოგიტიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის მინერალური ნედლეულის ბაზის განვითარებაში წარმატებებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ გეოლოგიის სამმართველოს უფროსი ამხ. ირაკლი კონსტანტინეს ძე **გოგიტიძე** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 10 ივლისი.
№ 825—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 188 ამხ. ვ. ბ. კაჭარავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით გულრიფშის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ვარლამ ბუხუტის ძე **კაჭარავა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 10 ივლისი.
№ 826—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 189 ამხ. ბ. ე. სალარიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის დ. ი. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის განყოფილების გამგე ამხ. ბაჯგურ ესნატის ძე **სალარია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 10 ივლისი.
№ 827—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 190 ამხ. ნ. გ. ბრეგვაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა საესტრადო ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო არტისტი ნანი გიორგის ასული **ბრეგვაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 21 ივლისი.
№ 839—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 191 ამხ. ა. ს. გაბინაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საკოლმეურნეო საკუთრების დამნაშავეთა ხელყოფისაგან დაცვის დროს გამოჩენილი ვაჟკაცობისა და მამაცობისათვის გორის რაიონის სოფ. ქვახრელის ს. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნე არტემ სერგოს ძე **გაბინაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 22 ივლისი.
№ 841—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 192 კიევის ი. ფრანკოს სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური უკრაინული დრამატული თეატრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშრომელთა ესთეტიკური და ინტერნაციონალური აღზრდის საქმეში წვლილისათვის და 1986 წლის ივლისში ქ. თბილისში გასტროლების წარმატებით ჩატარებასთან დაკავშირებით **კიევის ი. ფრანკოს სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური უკრაინული დრამატული თეატრი** და-

№ 8
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 24 ივლისი.
№ 844—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 193 ამხ. ა. მ. მოსკალენკოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში, სამეცნიერო და სამეურნეო ორგანიზაციებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. ალექსანდრე მიხეილის ძე **მოსკალენკო** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 29 ივლისი.
№ 848—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 194 ამხ. ვ. ი. იაქაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა და საგეგმო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის ამხ. ვლადიმერ ილიას ძე **იაქაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 30 ივლისი.
№ 850—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 195 ამხ. ი. ნ. ჭოხონელიძისათვის „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქინფორმის სპეციალურ კორესპონდენტს აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში ამხ. ირაკლი ნიკოლოზის ძე ჭოხონელიძეს მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი".**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 17 ივლისი.
№ 829—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 196 ამხ. ლ. ლ. ჩიქავასათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, სამეცნიერო კადრების მომზადებისათვის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ლეო ლეონტის ძე ჩიქავას მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე".**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 17 ივლისი.
№ 830—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 197 ამხ. მ. შ. მიქელაძისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

გამოყენებითი მექანიკის განვითარებაში წვლილისათვის, ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეცნიერო კადრების მომზადებისათვის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგეს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ მერაბ შალვას ძე მიქელაძეს მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე“**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 17 ივლისი.

№ 831—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 198 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემის თანამშრომლებისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი სამეცნიერო-საინჟინრო მოღვაწეობისა და აქტიური საზოგადოებრივი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“** საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემის თანამშრომლებს:

**ახვლედიანს** ნოდარ ვალერიანის ძეს — კ. ს. ზავრიევის სახელობის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის განყოფილების გამგეს.

**დონაძეს** გივი მოსეს ძეს — კიბერნეტიკის ინსტიტუტის ჯგუფის ხელმძღვანელს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 17 ივლისი.

№ 832—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 199 ამიერკავკასიის რკინიგზის მუშაკებისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

რკინიგზის ტრანსპორტზე ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი"** მიენიჭოთ ამიერკავკასიის რკინიგზის მუშაკებს:

**ნიკურაძეს** მანუელ რომანოზის ძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის სტატისტიკური აღრიცხვისა და ანგარიშგების განყოფილების უფროსს.

**ულენტს** აკაკი შალვას ძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის ტექსკოლის უფროსს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 17 ივლისი.
№ 833—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 200 საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სისტემის მუშაკთათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი"

**ბობოხიძეს** ნიკოლოზ ივანეს ძეს — მთავარსაქწყალმშენის ტრესტ „კოლხეთმშენის" № 4 მოძრავ-მექანიზებული კოლონის ოსტატს.

**გეგიას** ნუგზარ ნესტორის ძეს — კასპის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის საწარმოო სამმართველოს უფროსს.

**მახარაძეს** ალბერტ ვლადიმერის ძეს — მთავარსაქწყალმშენის კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს უფროსს.

**ცენტერაძეს** იური ანდრიას ძეს — მთავარსაქწყალმშენის ტრესტ „ალაზანმშენის" მთავარ ინჟინერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**„საქართველოს სსრ დამსახურებული მელიორატორი“**

**გოგინაშვილს** ვალიკო კონსტანტინეს ძეს — მთავარსაქწყალმშენის ;ტრესტ „იორწყალმშენის“ მთავარ ინჟინერს.

**ფაჟავას** იაკობ ცურუს ძეს — ზუგდიდის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის საწარმოო სამმართველოს ტექნიკოს-ჰიდროტექნიკოსს.

**ჯავახიშვილს** რევაზ მიხეილის ძეს — გორის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის საწარმოო სამმართველოს უბნის უფროსს.

**„საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მექანიზატორი“**

**გაბეჩავას** შოთა ვარლამის ძეს — მთავარსაქწყალმშენის სარემონტო-მექანიკური საწარმოს დირექტორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 17 ივლისი.
№ 834—XI

## განყოფილება მესამე

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომები

1986 წლის 5 ივლისს გაიმართა საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია.

სესია გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა ი. ბ. აბაშიძემ.

შეკრებილებმა ფეხზე ადგომით პატივი სცეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ვ. რ. ემნაძის ხსოვნას, რომელიც სესიებს შუა პერიოდში გარდაიცვალა.

უმაღლესმა საბჭომ მოისმინა სამანდატო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ შ. ვ. ყარყარაშვილის მოხსენება გამოკლებულ დეპუტატთა ნაცვლად არჩეულ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა უფლებამოსილების შემოწმების შესახებ.

სამანდატო კომისიის მოხსენების გამო მიღებულ იქნა დადგენილება.

დამტკიცდა სესიის დღის წესრიგი.

დღის წესრიგში შეტანილ იქნა შემდეგი საკითხები:

1. ამხ. ო. ე. ჩერქეზიას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1986 წლის 12 აპრილის ბრძანებულებისა და ამხ. დ. ლ. ქართველიშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გან განთავისუფლების შესახებ 1986 წლის 11 აპრილის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ;

2. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის შესახებ;

3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ;

4. სკკპ XXVII ყრილობის მიერ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების წინაშე დასახული ამოცანების განსახორციელებლად საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობის შესახებ;

5. საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლების სახელმწიფო გეგმის შესახებ;

6. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ.

დეპუტატებმა დაამტკიცეს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სხდომათა რეგლამენტი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი დეპუტატი ჯ. ი. პატიაშვილი.

უმაღლესმა საბჭომ ერთხმად მიიღო დადგენილება ამხ. ო. ე. ჩერქეზიას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშვნისა და სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით ამხ. დ. ლ. ქართველიშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე.

შემდეგ სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი ო. ე. ჩერქეზია.

უმაღლესმა საბჭომ განიხილა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის საკითხი. იმასთან დაკავშირებით, რომ დეპუტატი ნ. ვ. გურგენიძე დაინიშნა საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ, რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ გაანთავისუფლა იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ აირჩია დეპუტატი ნ. ი. ლაღიძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი.

რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ გაანთავისუფლა დეპუტატები ჟ. კ. შარტავა და ი. თ. თოდუა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრობის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადაყვანასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლებულია ვ. ა. ხაზარაძე ქუთაისის სახალხო დეპუტატ-

№ 8
ეროვნული
ბიბლიოთეკა

თა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლებისა და სადეპუტატო უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებად არჩეული არიან დეპუტატი გ. გ. გუმბარიძე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე, დეპუტატი ვ. ა. კვარაცხელია — საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივანი, დეპუტატი კ. ს. მამედოვი — საქართველოს კომპარტიის მარნეულის რაიკომის პირველი მდივანი.

სესიაზე მოხსენება დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე — სკკპ XXVII ყრილობის მიერ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების წინაშე დასახული ამოცანების განსახორციელებლად საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობის შესახებ გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ დეპუტატმა პ. გ. გილაშვილმა.

მოხსენებით საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლების სახელმწიფო გეგმის შესახებ გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი ო. ე. ჩერქეზია.

ამ საკითხზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების თანამოხსენება გააკეთა საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა გ. ა. ანდრონიკაშვილმა.

დღის წესრიგის მეოთხე და მეხუთე საკითხებზე გამართულ კამათში მონაწილეობდნენ დეპუტატები: პ. პ. ჩხეიძე — საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი, ვ. მ. ცუგბა — აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ი. გ. უნგიაძე — აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ზ. ი. ლომიძე — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის საბრძმედე საამქროს უფროსი მექურე, ბ. ბ. ტეხოვი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, დ. ე. სარიშვილი — საქართველოს კომპარტიის გურჯაანის რაიკომის პირველი მდივანი, გ. დ. ლორთქიფანიძე — საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე, ლ. გ. ლომიძე — საქართველოს კომპარტიის თბილისის კიროვის რაიკომის პირველი მდივანი, ი. ს. ჟორდანია — საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე. ცხადდება შესვენება.

მეორე სხდომაზე გაგრძელდა კამათი. სიტყვით გამოვიდნენ ჯ. ვ. გორგოძე — საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის რაიკომის პირველი მდივანი ე. ს. ყურაშვილი — ცხაკაიას რაიონის სოფ. ფოცხოს კიროვის სახ. კოლმეურნეობის მთავარი ეკონომისტი, დ. ვ. მანჯგალაძე — საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი.

სესიამ ერთხმად მიიღო დადგენილება მეოთხე საკითხზე და საქართველოს სსრ კანონი მეხუთე საკითხზე.

შემდეგ დეპუტატებმა მოისმინეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის დეპუტატ თ. ვ. ლაშქარაშვილის მოხსენება საქართვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ, მიღებულ იქნა შესაბამისი კანონები და დადგენილებები.

სესიაზე შეტანილ იქნა ზოგიერთი ცვლილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიათა შემადგენლობაში.

ამით საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიამ მუშაობა დაამთავრა.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომები

1986 წლის 3 ივლისს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა. სხდომამ იმსჯელა საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის მიერ განსახილველ საკითხებზე.

მოისმინა რა გურჯაანის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ტ. შ. დვალიშვილის ინფორმაცია, სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად გურჯაანის რაიონული საბჭოს აღმასკომში ზემდგომი ორგანოებისა და საკუთარ გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლის ორგანიზაციის მდგომარეობის შესახებ, პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ რაიონული საბჭოს აღმასკომი გარკვეულ მუშაობას ეწევა ამ მიმართულებით. პრაქტიკაში დაინერგა ზემდგომი ორგანოებისა და საკუთარ გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის განხილვა რაიონული საბჭოს სესიებზე, აღმასკომისა და მუდმივი კომისიების სხდომებზე, აგრეთვე შრომითი კოლექტივების კრებებსა და სოფლის ყრილობებზე. გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი ყურადღების გაძლიერება ხელს უწყობს ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული განვითარების გეგმების განხორციელებას.

ამასთან, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ გურჯაანის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოსა და მისი ორგანოების საქმიანობა ზემდგომი ორგანოებისა და საკუთარ გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლისათვის ჯერ კიდევ არ არის საკმარისი და სრულად არ უპასუხებს სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის მოთხოვნებს. რაიონის საწარმოო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ნაკლებად იგრძნობა პარტიის მიერ შემუშავებული და XXVII ყრილობის მიერ მოწონებული დაჩქარებისა და გარდაქმნის სტრატეგიის სულისკვეთება.

1986 წლის პირველ კვარტალში მრეწველობის საერთო პროდუქციის წარმოების გეგმა ვერ შეასრულა ადგილობრივი მრეწველობის საწარმოო კომბინატის გაერთიანება „ალაზანმა“, პროდუქციის რეალიზაციის გეგმა — № 24 ტრესტის სამრეწველო-საწარმოო კომბინატმა; წარმოების ტემპები შე-

№ 8
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამცირეს ხორცკომბინატმა, მექანიკურმა ქარხანამ, ადგილობრივი მრეწველობის კომბინატმა, კაჭრეთის პურპროდუქტების კომბინატმა. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით რაიონში პროდუქციის რეალიზაციის მოცულობა შემცირდა 15,6 მილიონი მანეთით. ვერ განაღდდა აგრეთვე პროდუქციის თვითღირებულების 0,5 პროცენტით შემცირების ნაკისრი სოციალისტური ვალდებულება.

სოფლის მეურნეობის ხაზით ნაკლოვანებებია ზოგიერთ საზოგადოებრივ მეურნეობაშიც. შარშანდელთან შედარებით ხორცის წარმოება შემცირდა სოფლების ჩუმლაყის, ჯიმითის, შრომის, ვეჯინის, რძისა—კაჭრეთის, კალაურის, გურჯაანის, კვერცხისა — ნანიანის, შრომის, ახაშნის, ჯიმითის, კოლაგის საზოგადოებრივ მეურნეობებში.

შარშან და მიმდინარე წლის ოთხ თვეში რაისაბჭოს აღმასკომის მიერ მიღებული 494 გადაწყვეტილებიდან 141 მშენებლობის საკითხს ეხებოდა, მაგრამ მათ კონკრეტული ზეგავლენა არ მოუხდენიათ მთლიანად მშენებლობის გაუმჯობესებაზე, პირიქით, № 6 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველომ სამუშაოთა მოცულობა შეამცირა 12,3 პროცენტით, № 24 ტრესტის № 3 მოძრავმა მექანიზებულმა კოლონამ — 17,2 პროცენტით, საყოფაცხოვრებო მომსახურების სარემონტო-სამშენებლო უბანმა — 34,1 პროცენტით და ა. შ. უფრო მეტიც, № 24 ტრესტის მოძრავ მექანიზებულ კოლონას ველისციხის სპორტული დარბაზისა და კულტურის სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი 105,0 ათასი მანეთიდან არც ერთი მანეთი არ აუთვისებია.

რაიონის რიგ საწარმოებსა და დაწესებულებებში დაბალია შრომისა და საწარმოო დისციპლინა: ადგილი აქვს სამუშაო დროის დანაკარგებსა და კადრების დენადობის ზრდას; რესპუბლიკურ მაჩვენებლებზე დაბალია კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობათა მუშების მიერ გამომუშავებული კაცდღეების რაოდენობა, ხოლო მათი საერთო რიცხვის 10,5 პროცენტს არ გამოუმუშავებია შრომის სავალდებულო მინიმუმი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა გურჯაანის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს (ამხ. ტ. შ. დვალიშვილი) სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად ძირეულად გარდაქმნას რაიონის ადგილობრივი საბჭოების მუშაობა ზემდგომი ორგანოებისა და საკუთარ გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლის ორგანიზაციის სრულყოფისათვის, მიიღოს საჭირო ზომები ამ დადგენილებაში აღნიშნული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად და ჩატარებული მუშაობის შედეგების შესახებ მოახსენოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს 1987 წლის 1 სექტემბრისათვის.

რესპუბლიკის რაიონული და საქალაქო საბჭოებს დაევალათ მიმდინარე წლის ბოლომდე შეისწავლონ დაქვემდებარებული საბჭოების აღმასკომებში სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ზემდგომი ორგანოებისა და საკუთარ გადაწ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყვეტილებათა შესრულების მდგომარეობა და აღმოუჩინონ მათ პრაქტიკული დახმარება ამ მუშაობის შემდგომი სრულყოფისათვის.

*

*  *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა აგრეთვე საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის ამხ. დ. ვ. მანჯგალაძის მოხსენება და განიხილა პრეზიდიუმის წერილებისა და მოქალაქეთა მიღების განყოფილების შემოწმების მასალები და აღნიშნა, რომ სამინისტრომ და მისდამი დაქვემდებარებულმა ორგანიზაციებმა ერთგვარი მუშაობა გასწიეს მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციის, მშრომელთა წერილების, განცხადება-საჩივრების განხილვის საქმის გასაუმჯობესებლად და მათში დაყენებული საკითხების მოსაგვარებლად. წინა წლებთან შედარებით მეტი ყურადღება ეთმობა საბინაო მშენებლობას, მის ხარისხს, ახალი ტექნოლოგიის, ტექნიკისა და მეცნიერების მიღწევათა დანერგვას, შენდება გაუმჯობესებული სერიების საცხოვრებელი სახლები.

ამასთან, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ და მისდამი დაქვემდებარებულმა ორგანიზაციებმა ჯერ კიდევ ვერ გარდაქმნეს მშრომელთა წერილებზე მუშაობა სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა მოთხოვნების შესაბამისად, ამ მიმართულებით მათ მიერ ჩატარებული მუშაობა და ღონისძიებანი არასაკმარისი და ნაკლებეფექტიანია.

დაევალა საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს (ამხ. დ. ვ. მანჯგალაძე) სკკპ XVXII ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მშრომელთა წერილებზე მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას და მათ მიერ დაყენებული საკითხების დროულად გადაწყვეტას. ინფორმაცია ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ წარმოუდგინოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს 1987 წლის თებერვალში პრეზიდიუმის სხდომაზე ამხანაგების ვ. კობახიას, ო. პატიაშვილისა და ზ. მესხიშვილის გამოსვლებში ჩამოყალიბებული წინადადებების გათვალისწინებით, რომლებიც შეეხება მშენებარე ობიექტების ხარისხიანი მასალით რიტმულ მომარაგებას და მშენებლობაში „იერიშობანას" აღკვეთას, მშენებელთა კვალიფიციური კადრების მომზადებას, მუშახელის დამაგრებას, შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებას, ქ. რუსთავში გაუმჯობესებული სერიების საცხოვრებელი სახლების მშენებლობას, ახალმშენებლობებზე სალიფტო მეურნეობის მოწესრიგებასა და სხვ.

სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს დაევალათ რეგულარულად განიხილონ თავიანთ სხდომებზე ბინათმშენებლობის ხარისხის საკითხები, ამ საქმეში ფართოდ ჩააბან დეპუტატები, მუდმივი კომისიები, დეპუტატთა ჯგუფები და საგუშაგოები. პასუხი მოსთხოვონ აღმას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომების შესაბამისი საკონტროლო სამსახურების ხელმძღვანელებს უხარისხო ნაგებობათა მიღებისათვის.

*

* *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი რესპუბლიკაში ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების თაობაზე კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების შესახებ, აგრეთვე სხვა საკითხებიც და მიიღო შესაბამისი დადგენილებები.

*

* *

31 ივლისს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მორიგი სხდომა. სხდომამ მოისმინა საკითხი საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ამომრჩევლებთან შეხვედრების ერთიანი კვირის ჩატარების შედეგების შესახებ, რომელიც 14-20 ივლისს ჩატარდა.

ამომრჩევლებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 438 დეპუტატიდან შეხვდა 411, ანუ მათი საერთო რიცხვის 93,8 პროცენტი. შეხვედრებს ესწრებოდა 130 ათასამდე ამომრჩეველი, სიტყვით გამოვიდა 2.450, გამოითქვა 500-მდე წინადადება.

ამომრჩევლებთან შეხვედრებისადმი მიძღვნილ კრებებზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სკკპ XXVII ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დადგენილებების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეთერთმეტე მოწვევის მეხუთე სესიის და საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის გადაწყვეტილებათა უთუო განხორციელებას, 1986 წლისა და მეთორმეტე ხუთწლედის გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებას, საბჭოების მუშაობაში საუკეთესო საბოლოო შედეგების მიღწევას.

შეხვედრებზე დეპუტატებმა თავიანთ ანგარიშებში ამომრჩეველთა ყურადღება გაამახვილეს იმ ამოცანებზე, რომლებიც გამომდინარეობენ უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ, ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევის ღონისძიებათა თაობაზე და სკკპ ცენტრალური კომიტეტის სხვა მნიშვნელოვანი დადგენილებებიდან.

რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ამომრჩევლებთან შეხვედრებმა კიდევ ერთხელ ცხადყვეს, რომ საქართველოს მშრომელები მთლიანად და სავსებით იწონებენ სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებს, ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებაში ჩამოყალიბებულ დებულებებსა და მითითებებს, გამოთქვამენ მზადყოფნას შექმნან ძიების, ინიციატივის, შემოქმედებითი შრომის ვითარება სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, თითოეულ სამუშაო ადგილ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე, შრომითს კოლექტივში, დროის მოთხოვნათა შესაბამისად გარდაქმნან მუშაობის ფორმები და მეთოდები, გზა მისცენ საუკეთესო გამოცდილებას, იბრძოლონ სიტყვისა და საქმის ერთიანობისათვის.

შეხვედრებზე გამოთქმული წინადადებების და კრიტიკული შენიშვნების ნაწილი რეაგირებისათვის გადაეცა რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს, ხოლო ნაწილი დეპუტატებმა გაუგზავნეს რესპუბლიკის შესაბამის სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებსა და უწყებებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამასთან ერთად აღნიშნა, რომ ცალკეული დეპუტატები წინასწარ არ ეცნობიან რეგიონების, საარჩევნო ოლქებში შემავალი საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების შესრულების მდგომარეობას, მოსახლეობის მომსახურების სფეროს ობიექტების მუშაობას, რის გამოც შეხვედრებზე ყოველთვის როდი ამახვილებენ ყურადღებას არსებული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად მშრომელთა ფართოდ დარაზმვისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სათანადო დავალება მისცა რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, საქართველოს სსრ სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებს და უწყებებს, რესპუბლიკური და ადგილობრივი გაზეთების რედაქციებსა და საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტებს.

*

* *

განიხილა რა საკითხი სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული საბჭოთა აქტივის სემინარ-ლექტორიუმების 1985-1986 სასწავლო წლის შედეგებისა და 1986-1987 სასწავლო წლის სანიმუშო თემატიკის დამტკიცების შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ სემინარ-ლექტორიუმების მუშაობა გამიზნული იყო სკკპ XXVII ყრილობის მასალების, საბჭოთა მშენებლობის თეორიული და პრაქტიკული საკითხების შესასწავლად, ხელს უწყობდა საბჭოთა მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფას, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების როლისა და მნიშვნელობის შემდგომ ზრდას სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ მშენებლობაში. ამასთან, სემინარ-ლექტორიუმებში სწავლების ორგანიზაციასა და ჩატარებაში კვლავ შეინიშნება ზოგიერთი სერიოზული ნაკლოვანება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

№ 8
ეროვნული
ბიბლიოთეკა

სახალხო დეპუტატთა საბჭოების, მათი აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის სრულყოფის, XII ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესასრულებლად მშრომელთა დარაზმვის მიზნით 1986-1987 სასწავლო წელს სემინარ-ლექტორიუმების მეცადინეობანი მიუძღვნან სკკპ XXVII ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმის, სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის მასალების, სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის შემდგომი გაზრდისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების ღრმად შესწავლას;

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა სფეროში მუშაობის გარდაქმნის შესახებ პარტიის მოთხოვნათა განუხრელი შესრულებისათვის თითოეული ხელმძღვანელი საბჭოთა მუშაკის, დეპუტატის პერსონალური პასუხისმგებლობის გაზრდას;

აამაღლონ მეცადინეობათა მომზადებისა და ჩატარების დონე, მიაღწიონ, რომ მსმენელები ღრმად სწავლობდნენ საბჭოთა კანონმდებლობის საფუძვლებს, იძენდნენ სამართლებრივ ცოდნას, პრაქტიკულ საქმიანობაში უნარიანად იყენებდნენ თეორიულ დებულებებს;

პერიოდულად განიხილონ სემინარ-ლექტორიუმების მუშაობის საკითხები საბჭოების სესიებზე, აღმასრულებელი კომიტეტების სხდომებზე; სისტემატურად გააანალიზონ, განაზოგადონ და გაავრცელონ დეპუტატთა და საბჭოთა აქტივის სწავლებისათვის მუშაობის დადებითი გამოცდილება;

უფრო აქტიურად მიიზიდონ სემინარ-ლექტორიუმების მუშაობაში საზოგადოება „ცოდნის" მეცნიერები, სამართალდამცველი ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, უფრო ფართოდ გამოიყენონ შრომითი კოლექტივებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მდიდარი შესაძლებლობანი აღმზრდელობითი მუშაობის გასაუმჯობესებლად, სამართალდარღვევათა ასაცდენად, სახელმწიფო, საწარმოო და შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად.

მოწონებულ იქნეს სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული საბჭოთა აქტივის სემინარ-ლექტორიუმების 1986-1987 სასწავლო წლის თემატური გეგმა.

* *

*

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის ამხ. ა. კარანაძის ანგარიში „ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევის ღონისძიებათა შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა და ანტიალკოჰოლური კანონმდებლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის მოთხოვნათა შესრულების უზრუნველსაყოფად საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მუშაობის თაობაზე. აღინიშნა, რომ რესპუბლიკის უმაღლესმა სასამართლომ დასახა და განახორციელა მთელი რიგი ორგანიზაციული და პროფილაქტიკური ღონისძიებანი სასამართლოების მიერ ზემდგომი პარტიული ორგანოების დადგენილებებისა და ანტიალკოჰოლური კანონმდებლობის ზუსტი და ერთგვაროვანი გამოყენებისათვის. იუსტიციის სამინისტროსთან ერთად ჩატარდა სახალხო მოსამართლეთა ზონალური თათბირები ახალი კანონმდებლობის გამოყენების საკითხებზე; ანტიალკოჰოლური კანონმდებლობის განმარტების მიზნით გაიმართა უმაღლესი სასამართლოს მუშაკთა შეხვედრები საწარმოების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების კოლექტივებთან; მოეწყო გამოსვლა ტელევიზიით, გამოქვეყნდა სტატიები.

ანტიალკოჰოლური კანონმდებლობის შემოღებამ და მისი მოთხოვნების განხორციელებამ ხელი შეუწყო მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებას, სიმთვრალეში ჩადენილ დანაშაულთა შემცირებას, დადებითად იმოქმედა მართლწესრიგის, შრომის დისციპლინის განმტკიცებაზე.

ამასთან სკკპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებისა და ანტიალკოჰოლური კანონმდებლობის შესასრულებლად საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობა მოითხოვს შემდგომ სრულყოფას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ანგარიში მიიღო ცნობად და დაავალა მას:

ზემდგომი პარტიული ორგანოებისა და ანტიალკოჰოლური კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად განახორციელოს გეგმაზომიერი და კომპლექსური მუშაობა ლოთობასთან დაკავშირებულ სამართალდარღვევათა აღმოსაფხვრელად სასამართლო საქმიანობის შემდგომი სრულყოფის, მოსამართლეების მიერ დაკისრებულ მოვალეობათა განუხრელად და კეთილსინდისიერად შესრულებისათვის;

გააქტიუროს პროფილაქტიკური მუშაობა ლოთობისა და ალკოჰოლიზმის თავიდან ასაცილებლად, აღმზრდელობითი ზეგავლენის გაძლიერების მიზნით ფართოდ დანერგოს გასვლითი სხდომების ჩატარება შრომითს კოლექტივებსა და მოქალაქეთა საცხოვრებელ ადგილას.

უზრუნველყოს, რომ არასრულწლოვანთა მიერ სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულის საქმეების განხილვისას სასამართლოებმა ჯეროვანი ყურადღება დაუთმონ არასრულწლოვანთა მიერ სპირტიანი სასმელების შეძენისა და გამოყენების გარემოებათა დადგენას, იმ პირთა გამოვლენას, რომლებიც ხელს უწყობენ არასრულწლოვანთა ლოთობას.

სათანადო დავალებანი მიეცათ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სსრ პროკურატურას.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს დაევალათ დამატებით დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი ლოთობისა და ალკოჰოლიზმის აღმოფხვრის შესახებ პარტიისა და მთავრობის მოთხოვნათა შესრულებისათვის, ფართოდ ჩააბან ამ საქმეში დეპუტატები, შესაბამისი კომისიები, მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოები, მიაღწიონ ამ მიმართულებით ყველა სახელმწიფო ორგანოს, საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და შრომითი კოლექტივის საქმიანობის კოორდინაციას.

* *
*

პრეზიდიუმის სხდომამ მოისმინა და განიხილა აგრეთვე საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრის ამხ. თ. ნ. დავითაშვილის ინფორმაცია და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის ამხ. ბ. ზ. ბარსუკოვის თანამოხსენება საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ქ. თბილისის საწარმოების მუშაკთა ნორმალური შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების უზრუნველსაყოფად შრომის კანონმდებლობის დაცვის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სკკპ XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმისა და სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის მოთხოვნათა შესაბამისად საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს მუშაობა ქ. თბილისის სატრანსპორტო საწარმოთა მუშაკების შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის ჩათვალა არასაკმარისად.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს დაევალა ქ. თბილისის ავტოსატრანსპორტო საწარმოებში მუშაობის დონის ამაღლების ამოცანების შესახებ არსებული დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად უმოკლეს ვადაში განახორციელოს დამატებითი ღონისძიებანი ქ. თბილისის ავტოსატრანსპორტო საწარმოებში მუშაობის დონის ასამაღლებლად და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისიის მასალები აღნიშნულ საკითხზე გაეგზავნათ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტს, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აღმასრულებელ კომიტეტს, თბილისის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, რომელთა ტერიტორიაზე განლაგებულია საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საწარმოები, და დაევალათ მათ თავიანთ სხდომებზე გულდასმით განიხილონ კომისიის რეკომენდაციები და მიღებული ზომების შესახებ აცნობონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს 1987 წლის 1 მარტამდე.

სათანადო რეკომენდაცია მიეცა ავტოტრანსპორტისა და გზატკეცილების მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე განხილულ იქნა სხვა საკითხები. ყველა მათგანზე მიღებულია შესაბამისი დადგენილება.